საქართველოს მთავრობის

დადგენილება №170

2017 წლის 31 მარტი

ქ. თბილისი

„თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის წესისა და იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრის დამტკიცების შესახებ, რომელთათვისაც სავალდებულოა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 თებერვლის №139 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის წესისა და იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრის დამტკიცების შესახებ, რომელთათვისაც სავალდებულოა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 თებერვლის №139 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 13/02/2014, 010320050.10.003.017758) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული თანამდებობრივი რეესტრის მე-14 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 14

საქართველოს ფინანსთა სამინისტროში:

ა) სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის უფროსი, მისი მოადგილე; სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე – სამმართველოს უფროსი;

ბ) იურიდიული დეპარტამენტის უფროსი, მისი მოადგილე;

გ) ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი, მისი მოადგილე; ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე – სამმართველოს უფროსი;

დ) საბიუჯეტო დეპარტამენტის უფროსი, მისი მოადგილე; საბიუჯეტო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე – სამმართველოს უფროსი;

ე) შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი, მისი მოადგილე;

ვ) სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტის უფროსი, მისი მოადგილე;

ზ) საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი, მისი მოადგილე;

თ) მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი, მისი მოადგილე;

ი) საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის დეპარტამენტის უფროსი, მისი მოადგილე; საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე – სამმართველოს უფროსი;

კ) ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი;

ლ) დავების განხილვის სამსახურის უფროსი, მისი მოადგილე;

მ) საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის სფეროში რისკების ანალიზის სამსახურის უფროსი;

ნ) ფისკალური რისკების მართვის სამმართველოს უფროსი;

ო) სტრუქტურული რეფორმების სამმართველოს უფროსი;

პ) სახელმწიფო ინვესტიციებისა და საბიუჯეტო პროგრამების ეფექტიანობის შეფასების სამმართველოს უფროსი;

ჟ) გადასახადის გადამხდელების მოტივირების უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი;

რ) სათამაშო ბიზნესის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი;

ს) შემოსავლების ადმინისტრირების ხარისხის შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი;

ტ) დაფინანსების შესაძლებლობების გამოვლენის სამმართველოს უფროსი;

უ) სახელმწიფო საშინაო ვალის ინსტრუმენტების განვითარების სამმართველოს უფროსი;

ფ) სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის სამმართველოს უფროსი;

ქ) სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის, სახაზინო სამსახურის და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელები, მათი მოადგილეები;

ღ) შემოსავლების სამსახურის შემადგენლობაში შემავალი საგადასახადო ორგანოს ხელმძღვანელი.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 1 აპრილიდან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**